საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია
2023 – 2026

წინასიტყვაობა

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ჩვენი ორგანიზაციის მომავალზე ორიენტირებულ ინიციატივებსა და მისწრაფებებს. ეს დოკუმენტი არის საგზაო რუკა, რომელიც ასახავს ჩვენს ურყევ ერთგულებას ფეხბურთში წარმატების, ინკლუზიურობისა და წინსვლის ხელშეწყობისადმი.

ფეხბურთი არის მეტი, ვიდრე თამაში. ის არის შთაგონების, ერთიანობისა და პოზიტიური ცვლილებების წყარო. სწორედ ამ სულისკვეთების ანარეკლია წინამდებარე სტრატეგია. ჩვენი ეფექტური პროგრამებით, სტრატეგიული თანამშრომლობითა და ღირებულებებისადმი ერთგულებით ჩვენ გვსურს, საკუთარი კვალი დავტოვოთ ყველასთვის საყვარელ სპორტზე.

ჩვენი სტრატეგიის ცენტრში დგას ინკლუზიურობა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ფეხბურთის ძალა სცილდება საზოგადოებრივ საზღვრებს, და გვსურს გზა გავუკაფოთ ყველა ნიჭიერ ადამიანს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი საფეხბურთო პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და ბავშვთა სახლებისთვის.

პროგრესისადმი ჩვენი ერთგულების კიდევ ერთი დასტური იქნება ჩვენი ახალი ინოვაციური ინიციატივები, როგორიცაა მოსიარულთა ფეხბურთი და უსინათლოთა ფეხბურთი. აღნიშნული პროექტები ხაზს უსვამს ჩვენს რწმენას, რომ ფეხბურთი ყველა ადამიანისთვისაა, მიუხედავად მისი ფიზიკური შესაძლებლობებისა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი მოთამაშეების, განსაკუთრებით კი ქალი სპორტსმენების დაცვას. ჩვენ აქტიურად ვქმნით პოლიტიკას და პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა მონაწილის კეთილდღეობას და ხელს უწყობენ ნდობაზე, პატივისცემასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

სტრატეგიის კიდევ ერთი ქვაკუთხედი არის ეკოლოგიური მდგრადობა. ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ და ვთამაშობთ. ჩვენი პასუხისმგებლობაა, საკუთარი წვლილი შევიტანოთ მწვანე მომავლის შექმნაში. სწორედ ამიტომ გვსურს დავნერგოთ ინოვაციური ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ჩვენს საფეხბურთო საზოგადოებაში.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ სტრატეგიის შემუშავებაში - დაინტერესებულ მხარეებს, პარტნიორებს, პერსონალს, მოთამაშეებს და გულშემატკივარს. თქვენ აძლიერებთ ჩვენს ძალისხმევებს, რომლებიც მიმართულია პოზიტიური ცვლილებების დანერგვაზე და ქართული ფეხბურთის უწყვეტ განვითარებაზე.

ლევან კობიაშვილი – სფფ-ის პრეზიდენტი

შინაარსი

შესავალი
შეფასება
ჩვენი სტრატეგიული ხედვა, მისია და ღირებულებები
სტრატეგიული ჩარჩო
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა
რასიზმთან ბრძოლა
ბავშვთა დაცვა
თანასწორობა და ინკლუზიურობა
ფეხბურთი ხველასთვის
ჯანმრთელობა
ლტოლვილთა მხარდაჭერა
სოლიდარობა და უფლებები
წრიული ეკონომიკა
კლიმატი და ადვოკატირება
ღონისძიებების მდგრადობა
ინფრასტრუქტურის მდგრადობა

შეფასება

საქართველოში ფეხბურთის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში გარდაქმნის ეპოქა 2015 წელს დაიწყო, ხოლო წინამდებარე სტრატეგია სწორედ ამ პროცესის ნაწილს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სტრატეგია შემუშავებულია უეფას 5 მოქმედების სფეროს შესაბამისად, რომელიც ინტეგრირებულია უეფას მდგრადობის სტრატეგიის ჩარჩოში და მოიცავს 11 მიმართულებას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩაუყარა საფუძველი პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც ხელს უწყობს ინკლუზიურობას და საზოგადოებრივ პროგრესს. აქამდე გაწეული ძალისხმევა ირეკლება წარმატებულ საფეხბურთო პროექტებში შშმ პირებისთვის, როგორიცაა ამპუტანტთა ლიგა და პროგრამები შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. სფფ ხელს უწყობს ჩართულობის და კონკურენციის გაზრდას, ასევე მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეტაპი წარმოადგენს არა პროცესის კულმინაციას, არამედ მის დასაწყისს. ჩვენ ახლა ვიმყოფებით შეფასების ფაზის ზღურბლზე – კრიტიკულ ეტაპზე, სადაც ჩვენ დეტალურად ვაკვირდებით განვლილ გზას, აღვნიშნავთ მიღწევებს და გამოგვაქვს დასკვნები. ჩვენი მიზანია, საკუთარი ძალისხმევები თანხვედრაში მივიყვანოთ ადგილობრივი საზოგდოების, დაინტერესებული მხარეებისა და ყველა ქართველის სურვილებთან. ჩვენ ვაცნობიერებთ ერთიანობისა და თანამშრომლობის ძალას, და გვსურს კლუბებსა და დაინტერესებულ მხარეებთან გაძლიერებული თანამშრომლობით მივაღწიოთ საკუთარ მიზნებს.

14 რეგიონი

... რეგისტრირებული ამპუტანტი ფეხბურთელი

... რეგისტრირებული ფეხბურთელი ბავშვთა სახლებში

... ბავშვი პროგრამა „უორიორსში“

ბავშვთა დაცვის მოქმედი პოლიტიკა

... შშმპ კლუბი

... ყოველწლიურად ჩატარებული ფესტივალი „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლა“

... ჩართული დაინტერესებული მხარე

... მწვრთნელი და ... ოფიციალური პირი, რომელიც ჩართულია საფეხბურთო პროექტებში შშმ პირებისთვის

ჩვენი სტრატეგიული ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა – ფეხბურთის გამაერთიანებელი ძალით ჩვენ გვსურს უფრო ინკლუზიური, თანასწორი და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ყველა ადამიანს თავისი შესაძლებლობების მიუხედავად შეუძლია ფეხბურთის თამაში.

მისია – ჩვენ გვსურს გამოვიყენოთ ფეხბურთი როგორც პლატფორმა, სადაც ჩვენ ინკლუზიური და ინოვაციური ინიციატივებით ხელს შევუწყობთ პოზიტიური სოციალური ცვლილებების დანერგვას. ჩვენ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ მრავალფეროვნებას, გავაძლიეროთ მარგინალიზებული თემები და გავაძლიეროთ პატივისცემის, თანაგრძნობისა და გარემოს დაცვის კულტურა. ფეხბურთის პოპულარობის მეშვეობით, ჩვენ გვსურს გარდავქმნათ ადამიანების ცხოვრება და დავტოვოთ ერთიანობისა და პროგრესის გრძელვადიანი მემკვიდრეობა.

ღირებულებები

- **ინკლუზიურობა** – ჩვენ გვჯერა, რომ ფეხბურთი ყველა ადამიანისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი შესაძლებლობების, გენდერისა თუ წარმომავლობის მიუხედავად.

- **გაძლიერება** – ჩვენ ვაძლევთ ინდივიდებს და თემებს შესაძლებლობას, ფეხბურთის საშუალებით გამოავლინონ თავიანთი სრული პოტენციალი და გააძლიერონ საკუთარი თავდაჯერებულობა და მიკუთვნებულობის გრძნობა.

- **პატივისცემა** – ჩვენ ხელს ვუწყობთ პატივისცემას და სამართლიანობას როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, რათა შევქმნათ უსაფრთხო გარემო ყველა მონაწილისთვის.

- **ინოვაცია** – ჩვენ ვიყენებთ კრეატიულ მიდგომებს უნიკალური და ეფექტური ინიციატივების განსავითარებლად, რომლებიც აფართოებს საზღვრებს და ეწინააღმდეგება სტერეოტიპებს.

- **თანამშრომლობა** – ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ პარტნიორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და თემებთან, რათა გავზარდოთ ჩვენი გავლენა და ერთად დავნერგოთ მნიშვნელოვანი ცვლილებები.

- **მდგრადობა** – ჩვენ ხელს ვუწყობთ ეკოლოგიურ მდგრადობას და ვიღებთ პასუხისმგებლიან ქმედებებს, რათა მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენი კვალი და ხელი შევუწყოთ ეკოლოგიურად პრაქტიკას.

სტრატეგიული ჩარჩო



რასიზმთან ბრძოლა

სფფ-ის მიზანია ქვეყნის მასშტაბით სურათის შექმნა, სადაც ფეხბურთი პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორია. წინამდებარე სტრატეგიის საყრდენების მეშვეობით, ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში დისკრიმინაციის ლაქის მოცილებას, მრავალფეროვნების აღიარებას და ერთიანობის დაცვას.

ჩვენი დაპირება: ჩვენ მტკიცედ გვჯერა ამ საქმის, რომელიც ემსახურება რასიზმისგან თავისუფალი საფეხბურთო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩვენ შევქმნით გარემოს, სადაც ყველა მოთამაშე, მწვრთნელი, ოფიციალური პირი და გულშემატკივარი დაფასდება მათი ნიჭისა და ხასიათის მიხედვით, განურჩევლად მათი წარმომავლობისა.

ჩვენი გამოწვევა – ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ წინ არაერთი გამოწვევა გველის. დისკრიმინაცია დღემდე ტოვებს კვალს ქართულ საზოგადოებაში. წინ გვიდგას მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა:

- შეხედულებების შეცვლა
- ადამიანების განათლება
- საფეხბურთო ოჯახში ურთიერთგაგებისა და პატივისცემის მცნებების გამყარება

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	ხელს შევუწყობთ ცნობიერების და განათლების ამაღლებას	• შევიმუშავებთ და გავავრცელებთ საგანმანათლებლო მასალებს ფეხბურთში რასიზმთან ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ • სფფ-ის საკომუნიკაციო არხებისა და მედიის მეშვეობით წარმოვაჩენთ რასიზმისგან თავისუფალი ფეხბურთის დადებით ეფექტს • ლიცენზირების პროცესის მეშვეობით ვაწარმოებთ საქართველოში რასიზმის შემთხვევების	• გავზომავთ დაინტერესებულ მხარეებს შორის რასიზმისა და მისი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებას • წარმოვაჩენთ მრავალფეროვნების დადებით მხარეებს ყოველწლიური შიდა და გარე კამპანიების მეშვეობით • ვაწარმოებთ ქალთა და გოგონათა ფეხბურთის გავლენის წლიურ ანგარიშს

		მონიტორინგს და ანგარიშგებას • აკადემიურ დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შევისწავლით ქართულ ფეხბურთში სხვადასხვა ეთნიკური/კულტურული წარმომავლობის ადამიანთა ჩართულობას	• ჩავატარებთ სულ მცირე ერთ კვლევას არსებული პროექტებიდან შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით
2	შევქმნით ინკლუზიურ გარემოს	• ჩავატარებთ მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის შესახებ სემინარებს მოთამაშეებისთვის, მწვრთნელებისთვის და ოფიციალური პირებისთვის ყველა დონეზე • სფფ-ის მედია არხების მეშვეობით მოვახდენთ ინკლუზიური შესაძლებლობების აფიშირებას	• ვაწარმოებთ ყოველწლიური სემინარების ანგარიშგებას • მონაწილეთა უკუკავშირის მეშვეობით გავზომავთ ინკლუზიურობისა და ანტი-რასიზმის პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას • მისაბაძი მაგალითების მონაწილეობით ჩავატარებთ საკომუნიკაციო კამპანიას ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით
3	ხელს შევუწყობთ თანასწორობას ფეხბურთში	• წაოვიწყებთ ინიციატივებს ფეხბურთში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის ხელშეწყობისთვის • „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ მეშვეობით ხელს შევუწყობთ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებიდან ბავშვების ჩართულობას • მისაბაძი მაგალითების მეშვეობით მოვახდენთ საქართველოში რასიზმისგან თავისუფალი საფეხბურთო გარემოს აფიშირებას	• გავზომავთ მასობრივ ფეხბურთში და სხვა საფეხბურთო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას • საქართველოს ყველა რეგიონში წელიწადში ორჯერ ჩავატარებთ „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლებს“ • ყოფილი და მოქმედი ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და მსაჯების ჩართულობით წელიწადში ორჯერ ჩავატარებთ ანტი-რასიზმის კამპანიებს

ბავშვთა დაცვა

სფფ-ის მიზანია ქვეყნის მასშტაბით შექმნას სურათი, სადაც დაცული იქნებიან ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები – ბავშვები და ახალგაზრდები. წინამდებარე სტრატეგიის შესაბამისი საყრდენის მეშვეობით, ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას, სადაც ყველა ბავშვისთვის ფეხბურთის თამაშის გამოცდილება უზომოდ სასიხარულო და სახალისოა.

ჩვენი დაპირება: ჩვენი საქმიანობა ეფუძნება ბავშვთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ჩვენ ვქმნით გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას. პირობას ვდებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ სიფრთხილისა და თანაგრძნობის კულტურის დასანერგად და მივიღებთ აქტიურ ზომებს, რათა ფეხბურთი იქცეს უსაფრთხოების ციხე-სიმაგრედ.წარმომავლობისა.

ჩვენი გამოწვევა: ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ წინ არაერთი გამოწვევა გველის. ქართული საზოგადოების სოციალური და კულტურული ქსოვილი მოიცავს ნიუანსებს, რომლებიც საჭიროებს სიფრთხილით მოქმედებას – ტრადიციებისა და თანამედროვეობის ჰარმონიზებას, და ძირძველი ღირებულებებისა და დამცავი პრაქტიკის დაბალანსებას. წინ გვიდგას მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა:

- აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ჩვენს საფეხბურთო ეკოსისტემაში
- ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ფეხბურთის სულისკვეთების დაკარგვის გარეშე

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	ხელს შევუწყობთ ცნობიერების და განათლების ამაღლებას	• რეგულარულად ჩავატარებთ სემინარებს და ტრენინგებს მწვრთნელებისთვის, ოფიციალური პირებისთვის, ექიმებისთვის და მოხალისეებისთვის ბავშვთა დაცვის თემაზე • დავნერგავთ ბავშვთა დაცვის თემას უეფას D, C B ლიცენზიის კურსებში • სფფ-ის მედია არხების მეშვეობით ჩავატარებთ ცნობიერების ამაღლების კამპანიას	• გავზომავთ დაინტერესებულ მხარეებს შორის ბავშვთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას • ავამაღლებთ მონაწილეთა ცნობიერებას ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენისა და შეტყობინების შესახებ • გამოვიყენებთ სფფ-ის მედია არხებს და მისაბაძ მაგალითებს ბავშვთა დაცვის ზომების აფიშირებისთვის და ქვეყნის მასშტაბით ცნობიერების ასამაღლებლად

2	გავაძლიერებთ ახალგაზრდების ხმას	• წამოვიწყებთ საფეხბურთო კამპანიას, რომელიც ახალგაზრდებს პლატფორმას მისცემს საკუთარი იდეებისა და შენიშვნების გამოსახატად	• კამპანიაში ჩართული დაინტერესებული პირების რაოდენობა • კამპანიის ფარგლებში წამოწყებული ინიციატივების რაოდენობა და უკუკავშირი
3	ჩამოვაყალიბებთ ბავშვთა დაცვის ერთობლივ მექანიზმებს	• დავამყარებთ პარტნიორობას ადგილობრივ სკოლებთან, თემებთან და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციებთან, რათა ერთობლივად მხარი დავუჭიროთ ბავშვთა და ახალგაზრდების დაცვის საქმეს	• დამყარებული პარტნიორობების რაოდენობა • პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წამოწყებული ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ბავშვებისა და ახალგახრდების დაცვაზე

თანასწორობა და ინკლუზიურობა

სფფ-ის მიზანია ქვეყნის მასშტაბით სურათის შექმნა, სადაც თანასწორობა და ინკლუზიურობა ფეხბურთის მყარი ნაწილია. პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორია. თანასწორობისა და ინკლუზიურობის საყრდენი გახდება ჩვენი ძალისხმევის ქვაკუთხედი, რომელიც მიმართულია ფეხბურთში მრავალფეროვნების, ერთიანობისა და პატივისცემის პრინციპების ზეიმზე.

ჩვენი დაპირება: ჩვენი საქმიანობა ეფუძნება თანასწორობასა და ინკლუზიურობას. ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ, რომ თითოეულმა ადამიანმა იპოვოს საფეხბურთო ოჯახში თავისი ადგილი მიუხედავად მისი წარმომავლობისა თუ შესაძლებლობებისა. ჩვენი მოქმედი ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დახმარებით ჩვენ შევქმნით გარემოს, სადაც შეიძლება ასრულდეს ყველა ადამიანის ოცნება.

ჩვენი გამოწვევა: ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ წინ არაერთი გამოწვევა გველის. ქართული საზოგადოება აგებულია როგორც ძირძველ ტრადიციებზე, ისე მრავალფეროვნებისა და ერთიანობის პრინციპებზე. ჩვენი გამოწვევაა განსხვავებულ აზრებს შორის ხიდების აგება და საფეხბურთო გარემოს შექმნა, სადაც მრავალფეროვნება წარმატებას განაპირობებს.

1	უზრუნველვყოფთ წარმომადგენლობისა და ჩართულობის მრავალფეროვნებას	• წამოვიწყებთ პროგრამებს, რომლებიც მიმართული იქნება დაჩაგრულ ჯგუფებში ჩართულობის გაზრდაზე • ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და რეგიონულ ფედერაციებთან თანამშრომლობით გავზრდით სხვადასხვა თემის ჩართულობას	• ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებში ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა • მასობრივი საფეხბურთო პროგრამების რაოდენობა სხვადასხვა თემში
2	განათლების მეშვეობით გავაძლიერებთ ადამიანებს	• სხვადასხვა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომს გავხდით შესაძლებლობებს მწვრთნელთა და მსაჯთა განათლების მიმართულებით • შევიმუშავებთ საგანმანათლებლო ინიციატივებს და სემინარებს მოთამაშეებისთვის, მწვრთნელებისთვის და ოფიციალური პირებისთვის მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის შესახებ	• საგანმანათლებლო კურსების / სემინარების რაოდენობა • მონაწილეთა უკუკავშირი თანასწორობისა და ინკლუზიურობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე
3	მხარდაჭერას გავუწევთ ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანებს	• ჩამოვაყალიბებთ და აფიშირებას გავუწევთ ინკლუზიურ საფეხბურთო ლიგებსა და ტურნირებს, რომლებიც ღია იქნება ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის • პროექტების – „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“, WPS და Playmakers მეშვეობით ჩავრთავთ შშმ ბავშვებს საფეხბურთო პროექტებში	• ყოველწლიური ინკლუზიური საფეხბურთო ღონისძიებების რაოდენობა • ინკლუზიურ საფეხბურთო პროგრამებში შშმ პირების ჩართულობა

ფეხბურთი ყველასთვის

ბოლო საუკუნის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა კაცების ფეხბურთის განვითარებას, ახლა კი ის უნდა მოერგოს ქალი ფეხბურთელების საჭიროებებსაც. ამისთვის აუცილებელი იქნება მოქნილობა და თანამშრომლობა.

ჩვენი დაპირება: ჩვენი მიზანია ქვეყანაში ინკლუზიურობის რევოლუციის ხელშეწყობა. ჩვენ ვხედავთ მომავალს, სადაც ფეხბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად მათი წარმომავლობისა თუ შესაძლებლობებისა.

ჩვენი გამოწვევა: „ფეხბურთი ყველასთვის“ წარმოადგენს ჩვენი არსებობის პრინციპს. ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც თითოეულ ადამიანს შეუძლია გახდეს საფეხბურთო ოჯახის სრულყოფილი ნაწილი, მიუხედავად მისი ასაკისა, გენდერისა თუ შესაძლებლობისა.

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	განვახორციელებთ ინკლუზიურ ინიციატივებს მასობრივ ფეხბურთში	• სფფ-ის პროექტების მეშვეობით, ჩვენ შევიმუშავებთ სათემო საფეხბურთო პროგრამებს ნაკლებად განვითარებულ ადგილებში, რომლებიც მიმართული იქნება ინკლუზიურობაზე	• მასობრივი ფეხბურთის პროგრამების რაოდენობა • საფეხბურთო აქტივობებში ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფთა მონაწილეობის მაჩვენებელი.
2	შევიმუშავებთ ყველა ასაკისთვის ღია საფეხბურთო პროგრამებს	• განვავითარებთ არსებულ სამოყვარულო ლიგებს, რათა ისინი ღია იყოს ყველა ასაკის ადამიანებისთვის • ჩამოვაყალიბებთ სასიარულო ფეხბურთის ლიგას უფროსი ასაკის ადამიანებისთვის	• ყველა ასაკისთვის ღია შეჯიბრების (ლიგების) რაოდენობა • საფეხბურთო შეჯიბრებსა და ღონისძიებებში უფროსი ასაკის ადამიანების ჩართულობის დონე

3	ჩავატარებთ ადაპტირებულ საფეხბურთო საპილოტე პროგრამებს	• ჩავატარებთ ადაპტირებულ საპილოტე ვარჯიშებსა და შეჯიბრებს შშმ პირებისთვის	• ადაპტირებული საფეხბურთო პროგრამების რაოდენობა • შშმ პირთა ჩართულობა ადაპტირებულ საფეხბურთო ღონისძიებებში

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ხელვმძღვანელობთ რა ჰოლისტიკური ზრდის პრინციპით, ჩვენ გვსურს ისეთი მომავლის შექმნა, სადაც ფეხბურთი არა მხოლოდ აძლიერებს ამბიციას, არამედ ზრდის თითოეული ინდივიდის ფიზიკურ და გონებრივ სიცოცხლისუნარიანობას.

ჩვენი დაპირება: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა განაპირობებს სფფ-ის ბავშვთა დაცვის პოლიტიკას. ჩვენი წარმატებისკენ სწრაფვა მყარი ჩარჩოს ფარგლებში მოხდება, სადაც თითოეული მონაწილის კეთილდღეობა პრიორიტეტულია.

ჩვენი გამოწვევა: ადამიანის ჯანმრთელობა არის რთული და მრავალფეროვანი ფაქტორი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, ფსიქიკურ და ემოციურ ასპექტებს. ჩვენი გამოწვევაა:

- ვიპოვოთ სწორი ბალანსი
- წარმატებასთან ერთად წავახალისოთ თვითმოვლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	ფეხბურთის მეშვეობით ხელს შეუწყობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას	• ჩამოვაყალიბებთ სათემო-საფეხბურთო კამპანიებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფიზიკურ აქტივობას და კეთილდღეობას.	• სათემო-საფეხბურთო პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი • მონაწილეებს შორის ფიზიკური აქტივობის პროცენტული მაჩვენებელი • სფფ-ის მედია არხების მეშვეობით წარმოვაჩენთ ცხოვრების აქტიური წესის უპირატესობებს
2	გავამახვილებთ ყურადღებას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე	• წამოვიწყებთ კამპანიას ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად • გავზომავთ საზოგადოებრივ საფეხბურთო პროგრამებში ჩართულობის დონეს • გავზომავთ მონაწილეთა შორის ფიზიკური აქტიურობის დონის პროცენტულ ზრდას.	• პროფესიონალი ფეხბურთელებისა და მისაბაძი მაგალითების გამოყენება ცნობიერების ამაღლების კამპანიებში • სათემო-საფეხბურთო პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი •მონაწილეთა შორის ფიზიკური აქტიურობის დონის პროცენტული ზრდა
3	უზრუნველყოფთ კვებისა და ველნესის შესახებ განათლებას	• შევიმუშავებთ საგანმანათლებლო რესურსებს და სემინარებს კვების, ჰიდრატაციისა და ჯანსაღი ჩვევების შესახებ	• კვებისა და ველნესის შესახებ ჩატარებული სემინარების რაოდენობა • მონაწილეების მიერ შეძენილი ცოდნა კვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ

ლტოლვილთა მხარდაჭერა

ლტოლვილთა მხარდაჭერის საყრდენით სფფ-ს სურს დაეხმაროს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ამ მხრივ ჩვენ ვხელმძღვანელობთ თანაგრძნობის პრინციპით და გვჯერა მომავლის, სადაც ფეხბურთის ძალა ლტოლვილებს მისცემს იმედს.

ჩვენი დაპირება: სფფ-ის პროგრამები უზრუნველყოფს უსაფრთხო და თბილ გარემოს ადამიანებისთვის, ვისაც კონფლიქტის ან გაჭირვების გამო მოუწია სამშობლოს დატოვება. ვხელმძღვანელობთ რა თანაგრძნობის პრინციპით, ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ მათ, ვინც თავშესაფარს ეძებს საფეხბურთო ოჯახში.

ჩვენი გამოწვევა: ლტოლვილთა გამოცდილებას ახასიათებს იძულებით გადაადგილების ტრავმა და სტაბილურობისკენ მისწრაფება. ჩვენი გამოწვევაა ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფიზიკურ მხარდაჭერას, არამედ ემოციურ დახმარებას და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობას.

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	განვავითარებთ ინკლუზიურ საფეხბურთო სივრცეებს	ლტოლვილთა ცენტრებთან თანამშრომლობით შევიმუშავებთ საფეხბურთო პროგრამებს	• ლტოლვილთა ცენტრებში ჩატარებული საფეხბურთო პროგრამების რაოდენობა • საფეხბურთო აქტივობებში ლტოლვილთა ჩართულობის მაჩვენებელი
2	ხელს შევუწყობთ კულტურული გაცვლის საფეხბურთო პროგრამებს	ჩავატარებთ ამხანაგურ თამაშებს და ტურნირებს, სადაც ლტოლვილები და ადგილობრივი თემები შეძლებენ ერთმანეთის გაცნობას	• კულტურული გაცვლითი ღონისძიებების რაოდენობა

			• მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზი, რომელიც ლტოლვილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებაზე მიუთითებს
2	გავაძლიერებთ ცხოვრების უნარებს	„სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ პროგრამის მეშვეობით ლტოლვილებისთვის ჩავატარებთ სემინარებს ცხოვრების უნარებზე, ენების სწავლასა და სამსახურისთვის მომზადებაზე	• ცხოვრების უნარების შესახებ სემინარების რაოდენობა • მონაწილეების მიერ შეძენილი ცოდნა ცხოვრების უნარებისა და ენათმცოდნეობის შესახებ

სოლიდარობა და უფლებები

სფფ-ის მიზანია, საქართველოში ფეხბურთის მეშვეობით წაახალისოს სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებების მხარდაჭერა და ერთიანობის ნარატივი.

ჩვენი დაპირება: ჩვენი ერთგულება სოლიდარობისა და უფლებებისადმი ფეხბურთის ტრანსფორმაციული ძალის დასტურია. ჩვენ ერთად ავმაღლებთ ხმას უთანასწორობის, დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ. ფეხბურთის მეშვეობით ჩვენ გავაძლიერებთ სამართლიანობის, თანაგრძნობისა და ადამიანური ღირსების პრინციპებს.

ჩვენი გამოწვევა: სამართლიანობისა და თანასწორობისთვის ბრძოლას ხშირად ეწინააღმდეგება ფესვგადგმული სისტემები, ღრმა მიკერძოებები და რთული სოციალურ-პოლიტიკური დინამიკა. ჩვენი გამოწვევაა:

- გლობალური საფეხბურთო ენის გამოყენება
- დაბრკოლებების გადალახვა
- მარგინალიზებული ხმების გაძლიერება
- სოლიდარობის ჰარმონიზება

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)

1	ხელს შევუწყობთ ცნობიერების ამაღლებას და ადვოკატირებას	წამოვიწყებთ ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და ინიციატივებს სოციალური სამართლიანობის საკითხებზე, მათ შორის თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და ინკლუზიურობის შესახებ	• ცნობიერების ამაღლების კამპანიების რაოდენობა • სოციალურ მედიაში განთავსებულ კამპანიებში პროფესიონალი მოთამაშეებისა და მისაბაძი მაგალითების მოზიდვა და ჩართვა
2	პარტნიორობების გაძლიერებით წავახალისებთ ცვლილებებს	ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით და ფეხბურთის მეშვეობით გადავჭრით სოციალური სამართლიანობის პრობლემებს	• ჩამოყალიბებული პარტნიორობების რაოდენობა • პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების წარმატებით განხორციელების ანალიზი
3	განათლების მეშვეობით გავაძლიერებთ ადამიანებს	დაინტერესებული მხარეებისთვის შევიმუშავებთ საგანმანათლებლო მასალებსა და სემინარებს ადამიანის უფლებების, ტოლერანტობისა და ინკლუზიურობის შესახებ	• გავრცელებული საგანმანათლებლო მასალების რაოდენობა • ადამიანის უფლებათა სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მაჩვენებელი

წრიული ეკონომიკა

სფფ-ის საქმიანობა მოიცავს წრიული ეკონომიკის საყრდენს, სადაც ფეხბურთი მდგრადი განვითარების და გარდაქმნის ინსტრუმენტის როლს ასრულებს. ეკოლოგიური პასუხისმგებლობა, რესურსების ეფექტური გამოყენება და პლანეტის მოვლა ჩვენი ნარატივის მყარი ნაწილია.

ჩვენი დაპირება: საფეხბურთო საზოგადოების სტრუქტურაში ჩვენ დავნერგავთ მდგრადობის, რეციკლირებისა და ნარჩენების შემცირების პრინციპებს. გვჯერა რა მწვანე მომავლის, ჩვენ დავიცავთ ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკებს და შევქმნით პასუხისმგებლიანი მმართველობის მემკვიდრეობას.

ჩვენი გამოწვევა: თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებისა და გარემოზე ზრუნვის იმპერატივის დაბალანსება დელიკატური საკითხია. ჩვენი გამოწვევაა:

- ფეხბურთის ტრადიციების ინოვაციურ პრაქტიკასთან ჰარმონიზაცია
- კონკურენციის ფონზე რესურსების დაცვის კულტურის დანერგვა

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	დავნერგავთ მდგრად ოპერაციებს	• დავნერგავთ ენერგოეფექტურ და ნარჩენების შემცირებაზე მიმართულ პრაქტიკას საფეხბურთო ობიექტებსა და ღონისძიებებში.	• 2025 წლისთვის საფეხბურთო ობიექტებში ენერგიის მოხმარების პროცენტული შემცირება • 2025 წლისთვის ნაგავსაყრელებიდან რეციკლირებისა და მდგრადი განთავსების მეთოდებით გადამისამართებული ნარჩენების რაოდენობა.

2	ჩავატარებთ ეკოლოგიურად სუფთა ღონისძიებებს	• ჩავატარებთ საფეხბურთო ღონისძიებებს, სადაც ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაცია, ერთჯერადი პლასტმასის გამოყენების შემცირება და პასუხისმგებლიანი ტრანსპორტის ხელშეწყობა	• ღონისძიებებზე ერთჯერადი პლასტმასის გამოყენების პროცენტული შემცირება • პოპულარიზებული ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ვარიანტების რაოდენობა
3	დავამყარებთ მწვანე პარტნიორობებს	• ეკოლოგიურად ცნობიერ პარტნიორებსა და სპონსორებთან თანამშრომლობით აფიშირებას გავუწევთ წრიული ეკონომიკის პრინციპებს	• 2025 წლისთვის დავამყარებთ მინიმუმ 3 პარტნიორობას მდგრადი განვითარების ხელშემწყობ ორგანიზაციებთან • პარტნიორების მიერ მხარდაჭერილი წრიული ეკონომიკის ინიციატივების გავლენის შეფასება

კლიმატი და ადვოკატირება

კლიმატისა და ადვოკატირების საყრდენის მეშვეობით ფეხბურთი იქცევა მყარ პლატფორმად გარემოს დაცვისა და მდგრადი მომავლის ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის.

ჩვენი დაპირება: ჩვენ გამოვიყენებთ ფეხბურთის გლობალურ მასშტაბსა და გავლენას, რათა გავაძლიეროთ მოწოდება ეკოლოგიური პასუხისმგებლობისადმი.

ჩვენი გამოწვევა: კლიმატის კრიზისი ჩვენი ეპოქის განმსაზღვრელი გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს კოლექტიურ მოქმედებას, პოლიტიკის ადვოკატირებას და ქცევის შეცვლას. ჩვენი გამოწვევაა:

• ჩვენი საფეხბურთო საზოგადოების მობილიზება არა მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის დასანერგად, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი მოედნის მიღმაც გახდნენ პოლიტიკის ცვლილებისა და ადვოკატირების მამოძრავებელი ძალა

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	ხელს შევუწყობთ ნახშირბადის კვალის შემცირებას	• გავატარებთ ზომებს საფეხბურთო ობიექტებსა და ოპერაციებში ნახშირბადის ემისიების შესამცირებლად	• საფეხბურთო ობიექტებიდან ემისიების პროცენტული შემცირება • განახლებადი ენერგიის წყაროებისა და მდგრადი პრაქტიკის დანერგვის მაჩვენებლის ანალიზი
2	შევიმუშავებთ გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს	• წამოვიწყებთ საგანმანათლებლო კამპანიებს კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად	• სოციალურ მედია პლატფორმებზე გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების მასშტაბურობა და ჩართულობა • წელიწადში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით 2 საგანმანათლებლო სემინარის ჩატარება
3	განვახორციელებთ პოლიტიკის შეცვლის ადვოკატირებას	• გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ინიციატივების ადვოკატირების მიზნით ვითანამშრომლებთ სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან	• 2025 წლისთვის ადვოკატირების ინიციატივების წამოწყება • დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მხარდაჭერის დონის გაზრდა

ღონისძიებების მდგრადობა

ჩვენ ვნერგავთ ღონისძიებების მდგრადობის პრინციპს, სადაც საფეხბურთო ღონისძიებები გარემოსდაცვითი მეთვალყურეობისა და პასუხისმგებლიანი პრაქტიკის პლატფორმად იქცევა. ვხელმძღვანელობთ რა დადებითი ეფექტის შექმნის სურვილით, ჩვენ წარმოვიდგენთ მომავალს, სადაც სტადიონზე გულშემატკივრობა მდგრადი განვითარების ეთოსს ეხმიანება.

ჩვენი დაპირება: ჩვენი მიზანია, საფეხბურთო ღონისძიებები ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მაგალითად ვაქციოთ. მდგრადი პრაქტიკა გახდება აღნიშნული ღონისძიებების ქსოვილის ნაწილი და შექმნის კეთილსინდისიერი მართვის პრეცედენტს.

ჩვენი გამოწვევა: ღონისძიებების მართვის ხელოვნება უნდა იყოს ჰარმონიაში ეკოლოგიურ მოსაზრებებთან და ფეხბურთის სილამაზეს აკავშირებდეს გარემოსდაცვითი ცნობიერების აუცილებლობასთან.

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	შევქმნით / განვავითარებთ ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურას	• ღონისძიებების ინფრასტრუქტურის მოწყობაში დავნერგავთ ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკას, მათ შორის ნარჩენების მართვასა და ენერგოეფექტურობას	• ღონისძიებების დროს წარმოქმნილი ნარჩენების პროცენტული შემცირება • ღონისძიებების ინფრასტრუქტურაში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის მაჩვენებლის ანალიზი
2	ხელს შევუწყობთ გულშემატკივართა მდგრად ჩართულობას	• ხელს შევუწყობთ გულშემატკივართა ჩართულობის ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკებს, როგორიცაა ერთჯერადი პლასტმასის შემცირება და პასუხისმგებლიანი ტრანსპორტის წახალისება	• ღონისძიებებზე ერთჯერადი პლასტმასის გამოყენების პროცენტული შემცირება • გულშემატკივრებისთვის აფიშირებული ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის საშუალებების რაოდენობა

3	ყურადღებას გავამახვილებთ გრძელვადიან მდგრადობაზე	• იმისთვის, რომ ღონისძიებების დადებითი გავლენა მატჩის დღის შემდეგაც გაგრძელდეს, შევიმუშავებთ ინიციატივებს როგორიცაა ხეების დარგვის კამპანიები ან საზოგადოების დასუფთავების ღონისძიებები	• მდგრადი განვითარების ინიციატივების რაოდენობა • ინიციატივების გრძელვადიანი ეფექტის გაზომვა

ინფრასტრუქტურის მდგრადობა

ინფრასტრუქტურის მდგრადობის საყრდენის მეშვეობით ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ საფეხბურთო ობიექტები ეკოლოგიური ცნობიერებისა და პროგრესული განვითარების კატალიზატორად იქცეს. ჩვენ წარმოვიდგენთ მომავალს, სადაც ყველა სტადიონი განაპირობებს მდგრად განვითარებას.

ჩვენი დაპირება: ჩვენი ობიექტების დიზაინში ენერგოეფექტურობის, ეკოლოგიური სისუფთავისა და თემის ჩართულობის პრინციპების დანერგვით ჩვენ მოვახდენთ რევოლუციას საფეხბურთო ინფრასტრუქტურაში.

ჩვენი გამოწვევა: ინფრასტრუქტურის განვითარების სფერო უნდა შეესაბამებოდეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობისა და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის იმპერატივს. ჩვენი გამოწვევაა:

• საფეხბურთო ობიექტების შექმნა და განახლება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს გარემოზე ზემოქმედებას.
• თანამედროვეობის განსახიერება
• თემის ჩართულობის ცენტრების ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების შენარჩუნებ.

მიზანი	მიზანი (რას გავაკეთებთ)	როგორ გავაკეთებთ	ძირითადი მაჩვენებლები (როგორ გავზომავთ)
1	უზრუნველვყოფთ ობიექტების ეკოლოგიურად სუფთად გაუმჯობესებას	• საფეხბურთო ობიექტებში დავნერგავთ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და განახლებადი ენერგიის წყაროებს	• 2025 წლისთვის განახლებულ ობიექტებში ენერგიის მოხმარების პროცენტული შემცირება

			• 2025 წლისთვის განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვის ტემპის ანალიზი
2	შევიმუშავებთ თემზე ორიენტირებულ დიზაინს	• განვავითარებთ კეთილმოწყობილ საფეხბურთო ობიექტებს, რომლებიც სარგებელს მოუტანენ ადგილობრივ თემებს (მაგ. საზოგადოებრივი სივრცეებით, პარკებით და საგანმანათლებლო სივრცეებით)	• 2025 წლისთვის საფეხბურთო ობიექტების დიზაინში ინტეგრირებული კეთილმოწყობილობა • 2025 წლისთვის მატჩის დღის შემდეგ საზოგადოების ჩართულობისა და ობიექტების გამოყენების მხარდაჭერა
3	ხელს შევუწყობთ ინფრასტრუქტურაში მწვანე ინოვაციების დანერგვას	• წავახალისებთ პარტნიორობებს და კვლევით ინიციატივებს საფეხბურთო ობიექტებისთვის ინოვაციური და მდგრადი ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების შესასწავლად	• დამყარებული კვლევითი თანამშრომლობის რაოდენობა • ინოვაციური მდგრადი ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებული განხორციელების ანალიზი

სახელმძღვანელო პრინციპები

იმისთვის, რომ ამ სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში უზრუნველვყოთ ჩვენი ყველა საყრდენის თანმიმდევრულობა და ხარისხი, ჩვენი ძალისხმევები სტრუქტურირებული იქნება ექვსი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით:

• **თანასწორობა:** უზრუნველყავით, რომ ყველა ინდივიდს გააჩნდეს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს, ისწავლოს და განვითარდეს ფეხბურთის მეშვეობით.

• **ინკლუზიურობა:** შექმენით სივრცეები, სადაც მრავალფეროვნება იზეიმება და ყველა მონაწილე თავს დაფასებულად და პატივცემულად გრძნობს.

• **გაძლიერება:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მარგინალიზებული ფენების გაძლიერება, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საკუთარი თემის ცხოვრებაში.

• **ადვოკატირება:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

• **განათლება:** მოთამაშეების, მწვრთნელების და ფართო საზოგადოების განათლება ინკლუზიურობის, თანაგრძნობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის მნიშვნელობის შესახებ.

• **ინოვაცია:** მუდმივად ეძებეთ ინოვაციური გზები, რათა ფეხბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი, მიმზიდველი და სასარგებლო გახდეს.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მარტო ვერ შევძლებთ ჩვენი ამბიციური გეგმების განხორციელებას. ქვეყნის მასშტაბით ჩვენი ყველა დაინტერესებული მხარე გადამწყვეტ როლს შეასრულებს ამ დოკუმენტში ასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევაში, და ჩვენ მოუთმენლად ველით ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობას. წინასწარ გიხდით მადლობას თქვენი დროის, მხარდაჭერისა და საქართველოში ფეხბურთის უკეთესი მომავლის განვითარების სურვილისთვის.